



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law

SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 6

„22“ „მაისი“ 2019 წ.

დადგენილება № 17

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაზე კანონშესაბამისი სანივთო უფლების რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 84-ე მუხლის პირველი პუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის, 86-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N194 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპილის N272 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015-2017 წლების ძირითადი და არამწარმოებლური (მიწა) აქტივების მართვის შესაბამისობის აუდიტის“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის N17/36 ანგარიშის და აღნიშნული ანგარიშის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. განხორციელდეს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015-2017 წლების ძირითადი და არამწარმოებლური (მიწა) აქტივების მართვის შესაბამისობის აუდიტის“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის N17/36 ანგარიშის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაზე კანონშესაბამისი სანივთო უფლების რეგისტრაცია.
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული საკითხი შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ.თათეშვილის 2019 წლის 22 მაისის მიმართვა N610050.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე